ISSN 0132—6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგი

2 1982

ნახ. გ. ფირცხალავასი



— გამაგებინე, იუბილარის დაბადების დღეა, თუ ნაბადების დღე?!

ნახ. დ. ზარაფიშვილისა



# ყველაფერი ნაგვის შესახებ

„... ჩვენს პატარა ქუჩაზე 20 დღეში ერთხელ არ მოდის ნაგვის მანქანა, რის გამოც ბუზების ალტაცებას საზღვარი არა აქვს!..“ (გ. ხიდაშელის წერილიდან, ტოფურიძის I შესახვევი № 20); „...უკვე ერთი კვირაა, ჩვენი ბინიდან ნაგავი არ გაუტანიათ! გთხოვთ, გვიშველოთ რამე — სუნში ვიხრჩობით!..“ (ნ. კაპანაძის წერილიდან; მგალობლიშვილის ქ. № 3); „...მართალია, მთელი ქუჩა ნაგვით აივსო, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავთ! დროზე მოგვხედეთ, თორემ შეგვჭამეს ბუზებმა და ტარაკანებმა!...“ (მ. მიქელაშვილის წერილიდან, ლუქსემბურგის ქ. № 19), „...ძალიან გვიყვარს სისუფთავე, მაგრამ თვეში ერთხელაც რომ არ წაილებენ ნაგავს! (ნ. ბესუაშვილის წერილიდან, პირველი ძმობის ქ. № 12); „...ძალაუნებურად დაგროვილი ნაგავი იყრება მშვენიერი სკვერ-ბაღებისა თუ ქუჩების კუთხე-კუნჭულებში“. (ა. ოგანოვის წერილიდან, ბალანჩივაძის ქ. № 39).

და, ბოლოს, მიცკევიჩის ქუჩის № 21-ში მცხოვრები არჩილ ყარყარაშვილი საკმაოდ გამართული ლექსით მოგვმართავს:

„ვიდრე ლექსით მოგმართავდით,
თვეზე მეტი ვიცადე!..
მოთმინებას საზღვარი აქვს —
ნაგავში ვართ კისრამდე!“

პატივცემულო არჩილ! ლექსის ხარისხის მიხედვით დავასკვენით: კაზმული სიტყვა უცხო ხილი არ არის თქვენთვის, მაგრამ უნდა გაუწყოთ, რომ თბილისის სანიტარიუ-

ნახ. ი. ქეინაშვილისა



განსაკუთრებით საშიში სპეკულანტი!

# პური ჩვენი არსობისა

რა დროსაც უნდა მობრძანდეთ, ბატონო, ჩვენთან,
შეხედოთ შემოსასვლელის ფანჯრის რაფას,
სამწუხაროდ და არასასახელოდ ჩვენდა,
იქ პატრონისგან უარყოფილ პურს ნახავთ!

თუ კაცის მონაგარს ნამდვილად პატივს ვცემთ,
თუ პურის ბედი ჩვენ, ყველას, გვაბარია,
ვიკითხავთ: რად არ დევს პური საპურეზე?!
ქათქათა ტილო რად არ აფარია?!

ჩვენი არსობის პურის აბუჩად აგდება,
პატივის აყრა და სახლიდან გარეთ გაგდება,
მისი დამცირება და ყადრის არცოდნა,
შეიძლება, ჩაითვალოს მაინც არცოდვად?!

ვაითუ, ნებიერმა ბუნებამ დაგვსაჯოს!
ვაითუ, არ გვაპატიოს პურის პანლური!
ვაითუ, აღარ მოგვცეს მოსავალი და
ვაითუ, მოგვანატროს პური!

მე პურის გადამყრელებს ხელს არ დავაფარებ,
მაგრამ ამდენ ზარალს სულ მათ ვერ დავაბრალებ:
ზოგჯერ რად არი პურის გული წებოსმაგვარი?!
წინადღის პური მეორე დღეს — ტინისმაგვარი?!

(დედას პური ხომ მეორე დღეს უფრო კარგია?!)
და სხვა ამგვარი!..
ჩანს, არც პურის მცხობელია მართალი ყელამდე! —
რად გვექნებოდა წუნი, ცომს რომ რიგიანად ზელდეს?!

შენ ჩქარობ, გენაცვალე, რომ ტემპს არ ჩამორჩე,
მარტო გეგმის შესრულება გაინტერესებს!
ახლა მე მკითხე, მე, პურის მყიდველს —
პურის ხარისხი მაინტერესებს!

პირში თქმა არ მიწყინო, ჩემო საყვარელო!
ეცადე და, ყველაფერი გამოსწორდება!
მაშ, აბა, ცამოწმენდილზე ვინ მოგცემს, კაცო,
დამსახურებული პურის მცხობლის წოდებას?!

ლალი მარტაშვილი

**ლი დასუფთავების განყოფილებაშიც** უყვართ პოეზია, განსაკუთრებით, თუ იგი ბუზების, მწერებისა და მღრღნელების სამყაროს ეძღვნება. და მარტო კი არ უყვართ, ზრუნავენ კიდეც მასზე! პოეზიას რომ თავი დავანებოთ, სანდასუფთავების მუშაკებს ისიც არ ეშლებათ, რომ ჩვენს პლანეტას საოცარი ჰარმონიულობა და შინაგანი წონასწორობა ახასიათებს, რომ, რაც ბუნებას გაუჩენია, მარტო საჭირო კი არა, აუცილებელიცაა სამყაროსათვის! გავიხსენოთ: სადღაც, ერთ გზააბნეულ მგელს თავისი სიბრიყვით კრავი შემოეჭამა, მისდგნენ და გაწყვიტეს მგლები! შემდეგ გამოირკვა, რომ მგელი „ტყის სანიტარიც“ ყოფილა. დაღონდნენ, მაგრამ გვიანღა იყო!..

ავიღოთ ჩვეულებრივი ნაგავი!

განა ბუნებამ იმიტომ გააჩინა იგი, იმავე დღეს გადავყაროთ?

გვიფიქრია, რომ, როცა ნაგავს ვყრით, ულუკმაპუროდ ვტოვებთ ბუზებს, ქინქლებს, ტარაკანებს, ვირთაგვებს, რომელთა არსებობა არც ისე უმიზნოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, — კარგად ნაკვები მწერების გარეშე, შიმშილით გაწყდებოდნენ შაშვები, ბეღურები და სხვა ჩიტები! თანაც ლაპარაკია არა ინდოეთიდან მოფრენილ, არამედ ადგილობრივ ჩიტებზე! შაშვები და ბეღურები თუ გაწყდნენ, რა პასუხს ვაძლევთ ქორ-მიმინოებს, რომლებიც ბუნებას მონკავშირის წევრების ერთგულ თანაშემწეებად გაუჩენია და, რომელთა გარეშე, დაერეოდნენ მწყრები ხორბლის ყანებს და კაცობრიობა დაიმშეოდა!...

ხედავთ, სად მოვედით? გიფიქრიათ ყოველივე ამაზე?

სანდასუფთავების მუშაკები კი ფიქრობენ, და განა მარტო ფიქრობენ!..

გასული წლის ზაფხულში მათი მოქნილი მუშაობის შედეგად მკვეთრად იმატა ბუზების, ტარაკანების, ვირთაგვების შთამომავლობამ!

ამასაც თავი დავანებოთ!

ნაგავი ათბობს და ცხელი წყლით ამარაგებს პარიზის სამ მეოთხედს!

ამომავალი მზის ქვეყანაში (იაპონიას ეძახიან ასე) დაწნეხილი ნაგვისაგან დამზადებულ ტივტივებს ოკეანის ზედაპირზე აფენენ, ზედ მიწას აყრიან და ბოსტნეულს თესავენ!

ერთი სიტყვით, ნაგავი არც ისე ნაგავია, როგორც ჩვენ გვგონია!

პატივცემულო ავტორებო! თქვენ, ალბათ, ჩაფიქრდებით და იკითხავთ: ბოლოს და ბოლოს, რამდენი ნაგავია საჭირო სამყაროს წონასწორობისათვისო?

ეგ უკვე ძნელი სათქმელია, მაგის თქმა თვითონ სანდასუფთავების მუშაკებსაც შეიძლება გაუჭირდეთ!

თბილისში წელიწადში 2 მილიონი კუბური მეტრი ნაგავი იყრება!

რა ამბავია ამდენი ნაგავი?! აქ ცოტა მოსახლეობაც ტყუის: უნდა ვიცოდეთ, რა არის ნაგავი, რისი გადაყრა შეიძლება და რისი — არა, თორემ რაც გადასაყრელია, ყველაფერი რომ გადავყაროთ...

ერთი დიასახლისი გვწერს: **საზამთროს ქერქები დამილპა, სუნი ასდის და ვერსად გადამიყრიაო.**

საერთოდ, ყველამ თავისი საქმე იცის, მაგრამ მოწიწებით მაინც გვინდა ვკითხოთ პატივცემულ დიასახლისს — უცდია საზამთროს მურაბის გაკეთება?! რითაა საზამთრო კარგი?! იყიდე, კარგია — შეჭამ, ცუდია — მაინც შეჭამ: ნახევარი ხელფასი მიგიცია. ყაირათიანი დიასახლისი მისი ქერქისაგან მურაბას მოხარშავს, ხელმარჯვე ბავშვები კი ურმებს გააკეთებენ და ითამაშებენ და — ნაგავიც აღარ არის! თორემ ასე თუ წავიდა საქმე, ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებში ნაყიდი პამიდორი, ხახვი და კარტოფილი ხომ ნახევარი გადასაყრელია!

უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ნაგვის ზუსტ დიფერენციაციას, განსაკუთრებით — ზამთარში. ერთ დავას შევესწარი: ნაგვის გამტანი ჩხუბობდა: დამტვრეულ სკამს (დამტვრეულ უნიტაზებზე, ნიჟარებზე და სხვა ხარახურაზე აღარას ვამბობ) არ წავიღებ, ეს ჩვენი ნაგავი არ არის, შეუკეთე ღუმელში და დაწვიო! მართლაც, დამტვრეული სკამები და წყობიდან გამოსული ავეჯი ნაგავია?! საერთოდ, რითაა ჩვენი ავეჯი კარგი — გაზაფხულზე იყიდი (თავის ფასში),—მთელ ზაფხულს იხმარ, ზამთარში დაწვავ და გათბები!

დაბოლოს: შეიძლება თბილისის სანიტარიული დასუფთავების განყოფილების მუშაკებმა თქვან, „ნიანგი“ ჩვენი სახელით რომ ესაუბრება პატივცემულ ავტორებს, ეგებ ჩვენ სხვა გვაქვს სათქმელიო?!

შესაძლოა!

მაშ, ველით მათ პასუხს!

**ზურაბ ქაჯაია**

ნახ. ნ. ხოდელისა




უსიტყვოდ

# როცა ყველას ეჩქარება!..

— ნეტავ, ასე რად მიყურებთ?!
— აბა, თქვენ თვითონ თუ მიხვდებით?!
— უცნაურია! თითქოს ჩემი შეჭმა გინდათ!
— არაფერი უცნაური არაა!
— აბა, რატომ მიყურებთ ასე?!
— იმიტომ, რომ ხელს მკრავთ! წესიერად ვერ ახვალთ?!
— არაფერ ხელს არა გკრავთ! მე მეჩქარება!
— მეც მეჩქარება! ყველას ეჩქარება!
— მე მაგვიანდება და აუცილებლად უნდა ავიდე!
— მეც უნდა ავიდე! ჯერ მე ავალ და მერე თქვენ! თქვენ ხომ ჩემს შემდეგ დგახართ?! ყველანი დავეტევით!..
— მე თქვენთვის ხელი არ მიკრავს!
— ყოველ შემთხვევაში, ცდილობდით, ურიგოდ ამოსულიყავით!
— მერე რა მოხდა?! მეჩქარება!..
— კარგით! გეყოფათ! ერთ-ერთმა დაუთმეთ!..
— რომ ჰკითხო ვაჟკაცია! ქალის პატივისცემა კი არ იცის!
— ქალს უფრო მეტი სინაზე მართებს!
— ვაჟკაცი!
— მე არ ვდებ თავს ვაჟკაცობაზე!
— ვაჟკაცი!
— გითხარით, რომ ვაჟკაცობაზე თავს არ ვდებ! მე არც რობინ ჰუდი ვარ და არც არსენა ოძელაშვილი! ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ!
— ყოველ შემთხვევაში, ქალის პატივისცემა უნდა იცოდეთ!
— ჯერ თვითონ ქალმა უნდა იცოდეს, რომ ქალია!
— მე თქვენ გითხარით, მეჩქარება-მეთქი! დაბარებული ვარ!
— მეც მეჩქარება! დაბარებული მყავს და მეჩქარება!..
— თქვენს ჩხუბში ტროლეიბუსიც გაფუჭდა, ხომ ხედავთ?!

●

— უკაცრავად, იურისკონსულტთან შეიძლება?
— ცოტა ხანს მოითმინეთ! ეს-ეს არის, მოვიდა!
— მე დაბარებული ვარ! თუ შეიძლება, მოახსენეთ!
— შებრძანდით!..
— აჰ! ეს თქვენა ხართ?! ჩემთან მოიჩქაროდით?!
— ?!.

**აკა**

ქ. თბილისის № 1161 სასურსათო მაღაზიიდან (გამგე შ. მალლაკელიძე, გამყიდველი თ. ხმელიძე) ერთ კაცს 400 კილოგრამი შაქარი მიჰყიდეს და ხელიც გვარიანად მოითბეს.

ნახ. გ. ფირცხალავასი



— სულ შენ რომ მიგაქვს, ცოტა ჩვენც დაგვიტოვე ჩაისთვის!

# გაყიდული სინდისი და გასაყიდი სიგარეტები

— დღეს მართლაც რომ კარგ ფეხზე ავდექი! — სიხარულსა და აღფრთოვანებას ვერ მალავდა **საწარმოო გაერთიანება „თბილთამბაქოს“ ფილიალის წინ, კლარა ცეტკინის № 158 სახლის ეზოში შესული ელენე ხარხარიანი,** — ასეა, როცა საქმეც გიყვარს და მუშაობაც! მართალია, ცოტა ადრე ადგომა კი მომიწია ამ ყინვაში, მაგრამ არაფერია, ასე სჯობს! სანამ ვინმე არამკითხე გაიღვიძებს, უკვე დავაბინავებ ჩემს სიგარეტებს და მერე მე ვიცი, როგორც გავყიდი! გამოცდილება არ მაკლია და მოხერხება!..

ელენე ხარხარიანმა ხელობად გაიხადა სპეკულაცია!... როდის და რა პირობებში მოჰკიდა ხელი ამ „ფრიად სარფიან“ საქმიანობას, არავინ იცის, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ პირველად 1976 წელს მოხვდა საბრალდებო სკამზე სიგარეტებით ვაჭრობისათვის.

არ იფიქროთ, სასჯელის მოხდის შემდეგ დაუფიქრდა თავის საქციელს! — პირიქით, უფრო მოუხშირა მრუდე გზაზე სიარულს. შედეგმაც არ დააყოვნა: დიდხანს არ გაუვლია, ხელმეორედ რომ დააპატიმრეს. არც ამჯერად შეუშინდა მართლმსაჯულების განაჩენს ელენე, ერთი სული ჰქონდა ციხიდან გამოსულიყო და ისევ შეესუნთქა თამბაქოს სურნელება. ფულის იოლად შოვნის სურვილი ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი.

იმ სუსხიან დილასაც ისეთი სიხარულით ჩაიკრა გულში 1622 სიგარეტის კოლოფი და ისე სათუთად ინახავდა კლარა ცეტკინის № 158 სახლის ეზოში მდგომ ავტომანქანაში, რომ ავ თვალს არ დაენახვებოდა!

მაგრამ მაინც დაინახეს! ბედი უნდა ყველაფერს! მანქანის კარის მიხურვაც ვერ მოასწრო, მილიციის მუშაკები რომ დაადგნენ თავზე!..

**თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ, აკაკი ცხადაძის თავმჯდომარეობით,** ამჯერად უკვე ხუთი წლით ჩამოაშორა ელენე ხარხარიანი საყვარელ საქმიანობას და მის ქონებასაც კონფისკაცია უყო!..

ლილი მაისურაძე

# დაგვიანებული

## საახალწლო დეპეშები

როგორც შარშან და შარშანცინ, უსახურავებო სახლებს ტავს ადგამს და ამიტომაც ვპუტუნებთ. ბატუმიდან ბიტუმი ვერ მივიღეთ და გეგმაც ჩავაგდეთ. ბატუმელებო, გამოგვიგზავნეთ ბიტუმი, ტორემ კვლავაც ვრჩებით ბიტური!

გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის დირექცია

ბატუმში ბიტუმი ასიატასტონობით აცკვია, შესანახი ადგილი არც კია. ვაგონებზე იქნება რამე იგონოტ. ჩვენი ტავი გვიჩირს, გეგმა ნავტობის, მაზუტის არ გამოგვადგა მტლად ზუსტი, მტელ ცელს სულ ტვინებს ვიჩკლეტდიტ, მაგრამ არც საცვავი გვაქვს დიზელის.

ბატუმის ნავტობგადამამუშავებელი კარხნის დირეკცია

ვაგონებზე არ გაგვაგონოტ ცუცუნი და არც დაიცკოტ საჩივლელად ცუნცული. ჩვენამდე ხმების მოცვდენას, გერჩიატ, არ დაგეშვატ ვაგონების მოცდენა. ჩვენ არ მოგაკლებტ დჟარიმას, ბოლოს გამოვალტ ბარიბარ.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმარტველო

კვეჟენაძე, ბიბილაშვილი, თეთრაძე, ამაშუკელი, გიორგაძე და სხვა მრავალი უკვე მოვიშორე! თითოეულ მათგანს ავუხსენი, რომ სწორი მისამართით არ რეკავდნენ!..

შვებულებაში ვარ და, სადღაც სიამოვნებაც კი მომაყენა ზემოჩამოთვლილ აბონენტებთან საუბარმა.

ამ დროს ისევ აწკრიალდა ტელეფონი!..

— სასწრაფოა?! — ისმის ქალის ხმა. მე ცოტა დაბნეული ვუპასუხებ, რომ ეს ბინაა და არა სასწრაფო!

მცირე ხნის შემდეგ სულ სხვა ხმა კითხულობს:

— სასწრაფოა?! — ხმაში იმდენი სევდა შევამჩნიე, მართალი გითხრათ, ყურმილის დადება და იმის თქმა, რომ ეს ბინა იყო და



## მე და ჩემი ტელეფონი

არა სასწრაფო დახმარების სამსახური, ცოტა გამიძნელდა.

მე მაინც ჩემი ოჯახური საქმე განვაგრძე. გაიარა სულ რაღაც ორიოდე საათმა და კვლავ ისმის:

— სასწრაფოა?!

— სასწრაფოა! — ვუპასუხე გადაღლილი მამაკაცის ხმას.

მამაკაცმა გულდასმით მიკარნახა ავადმყოფის სქესი, ასაკი და ზუსტი მისამართი.

მეც ასევე გულმოდგინედ ჩავიწერე ყველა მონაცემი.

ჩემდა ბედად, სასწრაფო ჩემი ბინიდან სულ რაღაც ნახევარ კილომეტრზეა, თუ უფრო მიახლოებით განვსაზღვრავთ, ექვსასიოდე მეტრი იქნება. ძუნძულით გავრბივარ და თან ავადმყოფის ზუსტი მონაცემები მიმაქვს!..

იქიდან, რა თქმა უნდა, ცოტა დამშვიდებული ვბრუნდები შინ, ვაღებ კარს და — კვლავ ზუმერი!..

ერთი კვირა ვირბინე ასე. ცოტა სახალისოც იყო. მჯეროდა, რომ ხალხს სიკეთეს ვუკეთებდი, თანაც წონაშიც დავიკელი.

მეორე კვირაში რომ გადავედი, მართალი გითხრათ, მომბეზრდა.

ჩემთვის ვფიქრობდი — იცოდნენ მაინც-მეთქი ამ ავადმყოფებმა, ვინ ეწევა ამდენ ამაგს და რა წვალებად უზის ეს ზრუნვა.

ერთ მშვენიერ დღეს ბებიაჩემის მზითევად მოყოლილი, დიდი, ჟანგიანი მაკრატელი ავიღე და გადავჭერი პატარა ხაზი, რომელიც მაერთებდა ავადმყოფებთან და სასწრაფო სამსახურთან.

გული მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება: კარკაძეს, ათეიშვილს, სამდალაძეს, გერგაძეს, მჭედლიშვილსა და სხვებს რომ ვერ გავცემ პასუხს, სხვაგან რეკავთ-მეთქი!

გ. კახიანი

ნახ. ი. ყეინაშვილისა



უსიტყვოდ

## ხელმძღვანელი და ხელქვეითი

— ასე ხშირად რად მაწუხებ,
ამხანაგო თანდილავ?!
ამ საკითხის გამო ჩემთან
ხომ იყავი ამ დილას?!

— პარასკევს რომ დამიბარეთ,
გენდეთ სიტყვაწონიანს!
თქვენ კვირაში, თურმე, ათი
პარასკევი გქონიათ!

თემურ შიმშილაშვილი
ქ. ჭიათურა

ნახ. მ. აბაშიძისა



— უყურე შენ?! ამან შტატი და ხელფასი კი არა, კაბინეტიც არ მოიტანა?!



ნახ. მ. აბაშიძისა

— მომეცი თავის ფასში, ცოლშვილს გავახარებ!
— შენ კი გაახარებ, მაგრამ ჩემი რომ ატირდება?!

ლატვიური ხალხური იუმორი

## სულიერი ნათესაობა

**ძნელი** იყო იმ იხვის გულის მოგება: ყველაფერს ნისკარტს უბზუებდა, არაფერი მოსწონდა!.. ფრინველის მომვლელმა ქალმა ვიტამინიზებული ცომი შესთავაზა, იხვი კი უკმაყოფილოდ აბუზღუნდა:

— ფუ! განა ეს ცომია?! აი, უწინ იყო ცომი!..

იხვმა ტბაში პაწია კარჩხანა დაიჭირა.

— განა ეს თევზია?! აი, ოდესღაც... ყვიტ!.. ყვიტ!.. იყო ნამდვილი თევზი!

ქოჩორა ქათამმა წიწილები გამოჩეკა.

— ფუ! ეს წიწილებია?! ყვიტ!.. ყვიტ!.. აი, უწინ...

ფერმის გამგემ იხვი დაინახა და მეფრინველეს უთხრა:

— ამის დროც დამდგარა!.. თორემ, შეიძლება, სიმსუქნისაგან გასკდეს!..

იხვს კისერი მოუგრიხეს, გაპუტეს და რესტორანში გაგზავნეს.

საკმაოდ მოქამული გარეგნობის მოქალაქემ რესტორანში სკანდალი ატეხა:

— ფუ! განა ეს იხვია?! აი, წინათ...

დიახ, ზოგჯერ ცხოვრებაშიც გვხვდება ასეთი სულიერი ნათესაობა!

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ნახ. გ. ფირცხალავასი



— ცოტა მოიტა, რა! არ გაგიგონია, ერთი თხილისგული რომ ცხრა ძმამ გაიყო?!
— ის თხილი იყო, აგი ნიგოზია!

## სატირულ-ირონიული ლირიკა

### თავი და კუდი

თავი, რაც უნდა ჩანდეს მდაბიო, —
სათავსო მდარე ტვინის მარაგის, —
კუდისთვის მაინც ჩანს საპატიოდ,
როგორც წინმდგომი მისი — მარადის!

### პატრონის ცხვირი

მრუდე აქვსო იმ კაცს ცხვირი! —
თქვენ გამოთქვით აზრი!
ჩვენც ვნახეთ და გეთანხმებით,
მართალია, რაც თქვით!
ამბობთ: თქვენი პატრონია,
ვისაც იგი აზის!
თუ ასეა, მაშინ მის ცხვირს
მრუდედ ნულარ ჩათვლით!

### ქაღალდს

შენ სარკე ხარ აზრის დაუნახავის,
ძვირად ფასობ, თუ კალმით დაიძლევი,
მაგრამ, თუკი აგავსებენ ნაგავით,
სამწუხაროდ, შენც ნაგავად იქცევი!

### სულელთა შორის

მირზა-შაფი ვაზეხიდან

სულელთა შორის ჭკვიან კაცად
როცა მახსენეს,
წამსვე სულელად მალიარეს —
მე — უაღრესად,
მაგრამ ყველაზე სულელად რომ
თავი ვაჩვენე,
თავიანთ შორის მიმიჩნიეს
უჭკვიანესად!

ეპიფანე ცინცაძე

ნოდარ ბართაია

# ორი ნოველა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბაჭული

მე და ბაჭული ერთ სოფელში დავიბადეთ, ერთად ავიდგით ენა და ფეხი, ერთ მერხზე ვისხედით თორმეტი წელი, ერთად ჩამოვედით დედაქალაქში და ჩავირიცხეთ უმაღლეს სასწავლებელში, ერთად გავატარეთ ხუთი წელი საერთო საცხოვრებელში, ერთად ავიღეთ ერთნაირნიშნებიანი დიპლომები და ერთად მივადექით კადრების განყოფილების გამგის ოთახის კარებს...

შევედი მე კადრების განყოფილების გამგესთან. მომისმინა და ზრდილობიანად უარით გამომისტუმრა. შევიდა ბაჭული და — მეორე დღეს სამსახური დაიწყო!..

წავედი ბინის თაობაზე აღმასკომში. საერთოდ გადამიწყვიტეს ბინის მიღების ყოველგვარი იმედი! შევიდა ბაჭული იმავე აღმასკომში და სამ თვეში სამოთახიანი ბინა მიიღო!

გავიდა წლები. სადღაც რაღაცაზე მოვეწყვე. შევედი უფროსთან ავტომანქანის ყიდვის თაობაზე. მითხრა, მეთორმეტე ხარ რიგში, თორმეტი წელი მოგიწევს ლოდინიო! შევიდა ბაჭული თავის უფროსთან და — მეორე დღეს მანქანა გამოიყვანა!..

შევედი საბოსტნე ნაკვეთის გამანაწილებელი კომისიის თავმჯდომარესთან. რა დროს ნაკვეთიაო, მითხრა მშვიდად და გამომისტუმრა. შევიდა ბაჭული თავის სამსახურში ასეთივე თავმჯდომარესთან და — ქალაქიდან რვა კილომეტრის მოშორებით გამოუყვეს საბოსტნე ნაკვეთი!

მივაკითხე ისევ კადრების განყოფილების გამგეს, იქნებ გამოჩნდა რამე-მეთქი?! გამოჩნდა კი არა, რაღაცაზე რომ ხარ, ისიც არ დაკარგოო! მივიდა ბაჭული იმავე დღეს იმავე გამგესთან, ხელფასი არ მყოფნისო და — მეორე ადგილზეც დანიშნეს!..

შევედი აღმასკომში, იქნებ ამხანაგურ ბინათმშენებლობაში შევყო-მეთქი თავი! ახლოსაც არ მიმიკარეს! შევიდა ბაჭული და — ორ თვეში ახალ ხუთოთახიან ბინაში გადავიდა!

შევედი მანქანის საკითხზე უფროსთან: მეთორმეტე ვიყავი რიგში, თორმეტი წელი უკვე გავიდა-მეთქი! არ ვიცი, რა იყავი და რა გავიდა, ახლა მეცამეტე ხარო!

შევიდა ბაჭული თავის უფროსთან და — მესამე მანქანა გამოიყვანა!..

შევედი ისევ საბოსტნე ნაკვეთის სათხოვნელად, ხომ არ გამოჩნდა რამე-მეთქი?! გამოჩნდა კი არა, ვისაც დავურიგეთ, იმასაც ვართმევთო! შევიდა ბაჭული თავის უფროსთან: რვა კილომეტრი შორია, ახლოს მომეცით ნაკვეთიო და — ქალაქიდან სამი კილომეტრის დაშორებით გამოუყვეს ნაკვეთი!

დიახ, ერთ სოფელში დავიბადეთ მე და ბაჭული, ერთად ავიდგით ენა და ფეხი, ერთად დავამთავრეთ სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი, ერთად დავდიოდით თეატრებსა და კინოებში, ვკითხულობდით ერთსა და იმავე წიგნებს, ერთად ვჭამდით, ერთად ვსვამდით. განათლება, ჭკუა, მარიფათი, აფთიაქის სასწორზე რომ აგეწონათ, ერთი მისხლითაც არ გვექნებოდა ერთმანეთზე მეტი, ან ნაკლები. გარეგნობითაც ტყუპისცალივით ვგავდით ერთმანეთს, ნაცნობ-მეგობართა წრეც ერთი გვყავდა!..

...მე და ბაჭულის ბავშვობისას ძალიან გვიყვარდა მდინარეში ბანაობა. ერთხელ ბაჭულის წყალი ჩაუვიდა ყურში, ყურის ანთება დაემართა და სმენა დაუქვეითდა. უმაღლესი დაამთავრა და ნახევრად დაყრუვდა კიდეც. ამიტომ, ბუნებრივია, ხმამაღალ ლაპარაკს მიეჩვია: ვისთანაც შევიდოდა, ყველას ეგონა, მიყვირისო და — ყველაფერს უკეთებდნენ!

## არ ვიცი, ვის ვეფერო?!

კაცი წინდახედული უნდა იყო, ადამიანთა შეცნობაში არ უნდა ცდებოდე, უნდა შეგეძლოს ამა თუ იმ პიროვნების მომავლის განჭვრეტა! მე, ამ მხრივ, გამჩენს დავუსჯივარ: ყოველგვარი წინასწარმეტყველება პირიქით მიხდება! ვიწინასწარმეტყველებ ვინმეს კარგ მომავალს, დავუახლოვდები, გადავყვები და — მას კი ან დაიჭერენ, ან დასაჭერად გაუხდება საქმე! უკეთეს შემთხვევაში, თანამდებობიდან მოხსნას დააჯერებენ! ვიფიქრებ ვინმეზე, ეს კაცი ისე უჭკუოდ მუშაობს, დღეს თუ ხვალ ციხეში ამოჰყოფს თავს, სამსახურიდან მოხსნაზე რომ არაფერი ვთქვათ-მეთქი და — და უცებ მაღლა აისვრიან: დააწინაურებენ! დავიბენი! არ ვიცი, ვის დავუახლოვდე, ვის ვეფერო, ვის ვუქიცინო კუდი?!



მეზობლის ბიჭი იყო, ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა, გააგრძელა სწავლა უმაღლეს სასწავლებელში. მეოთხე კურსის მეორე სემესტრის ბოლო გამოცდაც რომ ფრიადზე ჩააბარა, შვილი მოვანათვლინე, — ამას უსათუოდ კარგი მომავალი ექნება და ბავშვი უპატრონოდ არ დამირჩება-მეთქი! კი დაამთავრა დალოცვილმა უმაღლესი სასწავლებელი წარჩინებით, მაგრამ სადღაც დასაკარგავში გაანაწილეს სამი წლით. იქ ვიღაც გოგოს გადაეყარა, შეირთო და, ახლა, რომ შემხვდეს, ვერც ვიცნობ! ჩემს თავს არ ვჩივი, საკუთარ თავს არგოს! კარგი ახალგაზრდა იყო!..

იმ დალოცვილთან ერთად სწავლობდა დათიას ბიჭი. სალამი არ მიმიცია წესიერად მისთვის: ამისგან რა უნდა გამოვიდეს-მეთქი?! ჩემი შვილის ნათლიის გულის მოსაგებად ვამასხარავებდი კიდეც. შარშან ჩემი შუათანა ბავშვი აბარებდა მისაღებ გამოცდებს ინსტიტუტში. სამ საგანში დადებითი შეფასება მიიღო! გადამწყვეტი იყო ქართული წერა! სანთლით ვეძებდი კაცს — ერთი სამიანი მყოფნიდა! დათიას ბიჭი არ აღმოჩნდა ერთ-ერთი გამომცდელი?! საერთოდ არ გამოვჩენილვარ, ჯავრი არ იყაროს-მეთქი! ბედის ანაბარა გავუშვი ბავშვი გამოცდაზე! ბუნებრივია, მიხვდებით, რას მიიღებდა!..

ერთი ჩემი არცთუ ისე ახლობელი კარგ თანამდებობაზე დანიშნეს. ხმები დაირხა, ეს თანამდებობა ტრამპლინად უნდათ მისთვისო! ის ჩემი არცთუ ისე ახლობელი ადამიანი ისე დავიახლოვე, უჩემოდ ლუკმას არ იდებდა პირში, შემეხვეწა, ოჯახით საცხოვრებლად ჩემთან გადმოდიო! ბოლოს, იმაზე შევთანხმდით, რომ გამეყიდა მამაპაპეული სახლ-კარი და მის მეზობლად მეყიდა ნაკვეთი, მაგრამ სწორედ ამ დროს დაიჭირეს ჩემი იმედი და თორმეტი წლის პატიმრობა მიუსაჯეს!..

თანაკლასელი მყავდა, სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა სადღაც, შორეულში. წერილს წერილზე მწერდა, ძალიან მომენატრე, ქაღალდის ნაგლეჯზე ერთი სიტყვა დაწერე და გამომიგზავნეო! ცოცხალი თუ ჩამოაღწევდა იქიდან, არ მეგონა! ჩამოვიდა, უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა. ახლა, საშვისა და მამაძაღლობის გარეშე, ცხვირს ვერ შეჰყოფ მის კაბინეტში!

არ ვიცი, ვის დავუახლოვდე, ვის ვეფერო, ვის ვუქიცინო კუდი?!

62
12. II. 82

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკვესები

● **გადესმოყოლილი** ოქროს თევზი შეევედრა მებადურს: ოღონდ გამიშვი, რასაც მთხოვ, შეგისრულებო და — ვერ გაგიშვებ, შენს მეტი ყველაფერი მაქვსო!

● **უხიდობის** გამო დაწერილი საჩივარი სოფლიდან ქალაქში ვერ მიჰქონდათ... უხიდობის გამო.

● **სოფელში** ყველა სახლი კულტურულად იყო მოწყობილი; კულტურის სახლის გარდა.

● **გაბინძურებული** მდინარის თევზმა დაიჩივლა: ის დრო ჯობდა, პირი რომ წყლით მქონდა სავსეო.

● **გამყიდველმა** ფეხსაცმელი გადამალა: ამ ფეხსაცმელში ყველას არ ჩაუვა ფეხიო!

● **ნოქარს** ჰკითხეს: საქონელს ფასი რატომ არ ადევსო და — ფასდაუდებელიაო.

● **გადამყიდველს** გასაყიდი საქონელი მკლავზე ეკიდა და სინდისი — ფეხებზე.

● **მლიქვნელმა** თქვა: ქვეყნად რომ წელგამართულმა იარო, უფროსის წინ წელში მოხრილი უნდა იყოო!

● **უცხო** ენები საუცხოოდ იცოდა, მშობლიური — არც საშინაოდ.

● **ცხოვრებაში** ისე არაფერი ამძიმებდა, როგორც ცარიელი თავი.

**გაიოზ შავერზაშვილი**

ნახ. ი. ყეინაშვილისა



უტექსტოდ

# ცნობისმოყვარე ტურისტები

**ბულგარეთის** ქალაქ პლოვდივში, ცენტრალურ მოედანზე, კავშირგაბმულობის სახლის წინ, ქართული ლაპარაკი შემოგვესმა. ორი ქალი და ერთი მამაკაცი სასყიდლებით დატვირთულები მოდიოდნენ „სავაჭრო ქუჩიდან".

— ოთხმოცი ლევი დამრჩა, რაღას ვიყიდი ახლა, სოფიაში რომ დავბრუნდებით! — სწუხდა მაღალ-მაღალი ქალიშვილი.

— გეყოფა რაც იყიდე, ჩემოდანში აღარ გეტევა.

— გერმანულ მაღაზიაში თვალი დამრჩა იმ პატარა ჭაღზე, ვიტრინაში რომ ვნახეთ.

— არა, მე არ მომეწონა.

ძალზე სასიამოვნოა სხვა ქვეყანაში თანამემამულეებთან შეხვედრა და გამოველაპარაკე. თბილისელები აღმოჩნდნენ.

— ბოდიში, რომ შეგაჩერეთ, — ვუთხარი მათ, — მაგრამ მინდა ერთი რჩევა მოგცეთ.

— ტყავის პიჯაკები ხომ არ გეგულებათ სადმე? — მაშინვე მეცა დაბალი, მსუქანი ქალი, რომელსაც ალბათ ქალიშვილზე მეტი ლევები დარჩენოდა...

— არა, — გამეცინა, — მე სხვა რამ მინდოდა მეთქვა.

— ოჰ, თქვენ გენაცვალეთ, — ქალმა ნაყიდი კოლოფები და ქაღალდში გახვეული ნავაჭრი ფეხებთან დაიწყო, ცხვირსახოცით შუბლზე ოფლი მოიწმინდა და ისე მომაჩერდა, თითქოს მისი ღმერთი ვიყავი.

მამაკაცმა საყვედურით გადახედა დაბალ ქალს, აღარ აცლი კაცს ლაპარაკსო და მერე შემეკითხა:

— თქვენ დიდი ხანია ჩამობრძანდით პლოვდივში?

— ერთი კვირა იქნება. მეგობარმა ვიზით მომიწვია.

— მაშ ალბათ კარგად იცით, რა შეიძლება საინტერესო იყოს ჩვენთვის, ტურისტებისათვის.

— რასაკვირველია, — მაშინვე მივუგე. და სამივემ გაბრწყინებული თვალებით გადახედა ერთმანეთს.

— მაინც, რას გვირჩევდით? — ახლა მაღალმა ქალიშვილმა მძიმე ჩანთა დადო და ღიმილით მომაჩერდა.

— პლოვდივის ძველ უბანში უნდა ახვიდეთ...

— ხომ გეუბნებოდით, სოსო, ხალხი ძველ უბანში არ დადის და ყველაზე საინტერესო კი სწორედ იქ ყოფილა. რას ჩააცივდით ამ „სავაჭრო ქუჩას". გენაცვალე, გვითხარით, ალბათ ჯინსებია, ხომ? როგორია? — შემეხვეწა დაბალი ქალი...

— არა, იქ მაღაზიები არ შემხვედრია.

— კერძო სავაჭროებია? — ვითომ სხვათა შორის, ახლა მამაკაცი შემეკითხა.

— სოსო ბატონო, აღარ აცლით კაცს ლაპარაკს?! — გაწიწმატდა ქალიშვილი.

— მე კი არა, სწორედ თქვენ არ აცლით...

და ერთმანეთთან ისეთი კამათი ატეხეს, გამვლელებს ვერაფრით გაეგოთ, ნეტავ რა აქვთ ამ მოედანზე გასაყოფიო.

ცუდად იყო საქმე...

— ძალიან გთხოვთ, ნუ იკამათებთ იმაზე, თუ რომელ ქვეყანაში, რომელ მაღაზიაში რა გიყიდიათ. ხოლო თუ ჩემი შეხვედრა გახდა ამის მიზეზი, ყველანი რომ კმაყოფილი დარჩეთ, შეიტანეთ სასტუმროში თქვენი ნავაჭრი და წავიდეთ პლოვდივის ძველ უბანში. ნამდვილად ნასიამოვნები დარჩებით...

მალე ოთხივე ერთად ძველი უბნის ქუჩებში მივაბიჯებდით. ისინი აღარ მეკითხებოდნენ არც ტყავის პიჯაკებს და არც ჯინსებს. უბრალოდ, აღარ უნდოდათ უადგილო კამათი გაეგრძელებინათ, რაკი საქმე საქმეზე იყო მისული.

ერთი ქუჩის კუთხეში შევჩერდით.

— აბა, შეხედეთ, — ვუთხარი და ფირნიშზე მივუთითე.

ფირნიშზე ეწერა: „წერეთლის ქუჩა".

— აი, რა არის საინტერესო პლოვდივის ამ უბანში — ბულგარეთის სახალხო გმირის ალექსი წერეთლის ქუჩა.

ჯერ გაოცებულები უყურებდნენ წარწერას, ერთხანს ხმას ვერ იღებდნენ. შემდეგ გაიბადრნენ. ისინი ახლა ყველაზე ბედნიერი ტურისტები იყვნენ მთელ პლოვდივში. რატომაც არა! და ისე ამაყად მიაბიჯებდნენ წერეთლის ქუჩაზე, თითქოს ჯინსებით დატვირთულნი თბილისში, წერეთლის პროსპექტზე ყოფილიყვნენ.

**ანდრო კარბელაშვილი**

7-82

82-62




— მე ქვევითა ვარ, შენ — ზევით, როგორ აგიმღვრევ წყალსაო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“
№ 2 (1612) იანვარი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი,
ნომადი ბართაია,
ბორის გურგულია,
ნოდარ დუმბაძე,
რევაზ თვარაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი),
ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
გიგლა ფირცხალავა,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
თამაზ წივწივაძე,
ვაჟა ჭანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),
ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად
23. 12. 81 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
28. 1. 82 წ.
ქაღალდის ზომა 70×100
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 1
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. №14,
შეკვეთა № 3262. უე 06071
ტირაჟი 148.950.
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდება.

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54, მთ
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический
журнал «Н И А Н Г И»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137